საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 9

ქ. თბილისი

10.08.2016

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი, სხდომის მდივანი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს თბილისის საერთაშორისო აკადემია:
ირაკლი მორგოშია - რექტორი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი:
ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში.

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ:
გიორგი ცხვედიანი - ვიცე რექტორი;
ნონა ზუმბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
კახი კოპალიანი - სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ია წულაია - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

6.66

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ეკატერინე გიგაშვილი;
ნანა იაშვილი;
ირმა ღარიბაშვილი;
გიორგი გვალია;
არჩილ აბაშიძე;
ნინო დურგლიშვილი;
ნანა საგინაშვილი;
მაკა კაჭარავა;
ნიკოლოზ ახალკაცი;
მარინე მაისურაძე;
ვასილ კიკუტაძე;
რამაზ ქურდაძე;
ეკა ეკალაძე;
ნინო ღაღანიძე;
ვაჟა ტრაპაიძე;
ციცინო თურქაძე;
ზაზა რუხაძე;

სხდომა დაიწყო 14:15 საათზე. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თავმჯდომარის არყოფნის გამო, სხდომას წარუძღვა ნათელა სახოკია, ხოლო საბჭოს მდივნის არყოფნის გამო, სხდომის მდივნის ფუნქციები შეითავსა თამარ ბრეგვაძემ. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, ტურიზმი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

ნ. სს

6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური რესურსების და ენერგეტიკის მართვისა და მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს კავკასიის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რაიმე შუამდგომლობა ხომ არ დაფიქსირებულია დღის წესრიგთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებს - თამარ ბრეგვაძესა და რევაზ სოლომონიას აცილება ჰქონდათ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით, ხოლო ლევან გორდეზიანმა და ნანა შათაშვილმა აცილება განაცხადეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა, განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში, სხდომაზე კვორუმი ვერ დგებოდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განხილვასთან დაკავშირებით, რადგან აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა 3/4 -ით, 3/4 -ის არ არსებობის შემთხვევაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. შესაბამისად, სხდომაზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის საკითხები ვერ განიხილებოდა. ლაშა მარგიშვილის განმარტებით, აღნიშნული საკითხების განხილვა მოხდებოდა 2016 წლის 11 აგვისტოს სხდომაზე.

ლაშა მარგიშვილმა ასევე განაცხადა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დააფიქსირა შპს საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა სეუმ, რომელიც ითხოვდა ორი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ადამიანური რესურსების მართვისა და სოციალური ფსიქოლოგიის საკითხების დამატებას აღნიშნულ სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ შუამდგომლობებს. საბჭოს ყველა წევრის თანხმობით, **დღის წესრიგი** დამტკიცდა ახალი სახით:

1. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5.105

1. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ქართულ ენაში მომზადების პროგრამა
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეკატერინე გიგაშვილმა წარადგინა, მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იყო, მეტი ყურადღება დათმობოდა სამეტყველო უნარების განვითარებას;
- სასურველი იყო, კონკრეტული სწავლის შედეგის შესაბამისად მომხდარიყო სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების გააზრება;

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაციას ითვალისწინებდნენ, ამ დროისთვის უკვე გაძლიერებული იყო მეტყველების უნარების განმავითარებელი კომპონენტები.

სხდომის თავმჯდომარე, ნათელა სახოკია, დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდა უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაზე, ვინ იყვნენ მასწავლებლები და რა გამოცდილება ჰქონდათ მეორე ენის სწავლების კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პერსონალი იყო კვალიფიციური, ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება, ზოგიერთი მათგანი სოხუმის უნივერსიტეტში ასწავლიდა არაქართულენოვან სტუდენტებს. მან დაამატა, რომ მოთხოვნა იყო, შესაბამისად, დაწესებულებამ შეადგინა 60-კრედიტიანი პროგრამა და აპირებდნენ 50 სტუდენტის მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

6.106

დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სოციალური ფსიქოლოგია
განათლების საფეხური: სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ ნინო დურგლიშვილი და ნანა საგინაშვილი. მათ განაცხადეს, რომ შეამოწმეს წარმოდგენილი პროგრამა, ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო და ექსპერტებს რეკომენდაციები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარე, ნათელა სახოკია დაინტერესდა, ვინ იქნებოდნენ პოტენციური სტუდენტები აღნიშნულ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, განაცხადა, რომ პროგრამაზე მოვიდოდნენ ძირითადად ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები. მან დაამატა, რომ სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამა ხორციელდებოდა მხოლოდ თსუ-ში და ჯიპა-ში. წარმოდგენილი პროგრამის სიახლე მდგომარეობდა პრაქტიკული ნაწილის განვითარებაში. კერძოდ, პროგრამაში გათვალისწინებული იყო კომპონენტები არასრულწლოვანი დამნაშავეების, დანაშაულის პრევენციის კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტის სეუს ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ადამიანური რესურსების მართვა
განათლების საფეხური: სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ ნინო დურგლიშვილი და ნანა საგინაშვილი. მათ განაცხადეს, რომ შეამოწმეს წარმოდგენილი პროგრამა, ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო და ექსპერტებს რეკომენდაციები არ ჰქონდათ. ექსპერტების შეფასებით, პროგრამა იყო ნოვატორული და ერთ-ერთი საუკეთესო ქართულ სივრცეში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, განაცხადა, რომ პროგრამა კარგად იყო აწყობილი, მოწვეული იყო რამდენიმე კადრი, თუმცა მათაც ძირითადი დატვირთვა ჰქონდათ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტის სეუს ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. **შპს კავკასიის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: პოლიტიკის მეცნიერება
განათლების საფეხური: საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა გიორგი გვალიამ და არჩილ აბაშიძემ. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ შეფასება იყო დადებითი, საგნების ძირითადი ბირთვი კარგად იყო აწყობილი. აკრედიტაციის ექსპერტებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იყო, სალექციო კურსის „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში" თემატიკა შეცვლილიყო და კურსი მეტად გამხდარიყო ორიენტირებული სტუდენტებისთვის დისციპლინის ფარგლებში არსებული ძირითადი თეორიებისა და საკითხების გაცნობაზე;
- სასწავლო კურსების ბევრი სილაბუსი გადატვირთული იყო დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალით (მაგ: „კულტურა და ცივილიზაცია", „სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა", „საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძვლები") რადგან პროგრამა იყო საბაკალავრო დონის, ექსპერტების შეფასებით, შეუძლებელი იქნებოდა სტუდენტებს მოეხერხებინათ ასეთი რაოდენობის დამატებით ლიტერატურაში მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება. ექსპერტების მოსაზრებით, დამატებით ლიტერატურის ეს ვრცელი სიები უფრო ფორმალობის შთაბეჭდილებას ქმნიდა, თუ ლიტერატურაში გვერდების მითითება ლექტორს მიზანშეწონილად არ მიაჩნდა, ექსპერტების რეკომენდაციით, სასურველი იყო სია ნაკლებად ზოგადი მაინც გამხდარიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესავალის სასწავლო კურსთან დაკავშირებით რეკომენდაცია ადგილზევე იყო გამოსწორებული. შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსში შევიდა სათანადო ცვლილებები.

დამატებითი ლიტერატურის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც სტუდენტი იღებდა საგანს, მის ელექტრონულ სისტემაში იტვირთებოდა ყველა სავალდებულო საკითხავი, თუმცა ამ სისტემაში არ იტვირთებოდა დამატებით ლიტერატურა, ამიტომ დამატებითი ლიტერატურა მითითებული იყო სილაბუსებში და სტუდენტებს შეეძლოთ ბიბლიოთეკაში მოეძებნათ საჭირო სახელმძღვანელოები.

სხდომის თავმჯდომარე, ნათელა სახოკია დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გათვლილი იყო დაახლოებით 50 სტუდენტზე.

სხდომის თავმჯდომარე ნათელა სახოკია დაინტერესდა მეოთხე საგნად რა მოითხოვებოდა აბიტურიენტს ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-4 საგნად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაძლებელი იყო გეოგრაფიის, მათემატიკის, სამოქალაქო განათლების ან ისტორიის ჩაბარება.

ნათელა სახოკიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ იყო პროგრამით გათვალისწინებული სოციალური პოლიტიკის სწავლება. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰქონდათ საჯარო პოლიტიკა და კონკრეტული ქეისები, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო განათლების პოლიტიკიდან, ჯანდაცვის სისტემიდან და სხვა.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე საბაკალავრო პროგრამაში თუ იყო გადაკვეთები არჩევითი კურსების მხრივ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის სისტემა ითვალისწინებდა სამი სემესტრის განმავლობაში ერთიანი შესავალი საგნების სწავლებას, ჯგუფები შესაძლოა ერთადაც დასწრებოდნენ ამ კურსებს, ცალ-ცალკეც. ამის შემდეგ ხდებოდა ჩაშლა მიმართულებების მიხედვით. 90 კრედიტი საერთო იყო და ინგლისურ ენას ასწავლიდნენ სავალდებულოდ. გარკვეული საგნები იყო თანაკვეთაში. სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა, 240 კრედიტიდან აეღო მაინორ პროგრამა სხვა სკოლიდანაც. ასევე, პროგრამა ითვალისწინებდა დარგობრივ და პროფესიულ სავალდებულო საგნებს, საბაკალავრო ნაშრომი მაგალითად წარმოადგენდა სავალდებულო კურსს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური: საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქიტექტურის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნანა იაშვილმა წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად რეკომენდაციებისა, პროგრამა იყო ერთ-ერთი საუკეთესო, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი ბოლო დროს გასცნობოდა. მან დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა შემუშავებული რეკომენდაციები:

- ვიზიტის დროს პროგრამაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ „საბაკალავრო პროგრამის ამოცანების“ პუნქტი გაწერილი იყო ქვესათაურებით - 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს: 2. არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს - ექსპერტთა რეკომენდაციით ადგილზე იქნა შესწორებული პუნქტის შინაარსი და ქვესათაურები. ახალი რედაქციით დარჩა - საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანაა.
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულ სასწავლო კომპონენტებზე (ხატვა, ხაზვა, პროექტირება და ა.შ.) ვიზიტის დროს განისაზღვრა ჯგუფში მინიმალური და მაქსიმალური სტუდენტების რაოდენობა, (5-8 სტუდენტი) რაც აისახა საგანმანათლებლო პროგრამაში.
- სილაბუსები: „არქიტექტურული დაგეგმარება I” და „მდგრადი არქიტექტურის სემინარი“ - გასწორდა სწავლის შედეგები - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში ეწერა სტუდენტებთან და რეგულაციებთან შეთანხმებული მუშაობის პრინციპები, არქიტექტურული პროექტის პრეზენტაციის პრინციპი; სისტემური და კომპლექსური ცოდნა - გამოყენებული იყო მეორე საფეხურის კომპეტენციის ტერმინი, ასევე შესაბამისობაში მოვიდა პუნქტი. სილაბუსებში ცოდნის შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებში მოცემული ჩანაწერები შესაბამისობაში მოვიდა აკადემიური კალენდარის ჩანაწერებთან.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მსგავსი და სხვა სახის ტექნიკური უზუსტობები ადგილზე შესწორდა და მოვიდა პროგრამასთან შესაბამისობაში.
- გარდა, ამისა, სასურველი იყო, რომ შეფასება განხორციელებულიყო კავკასიის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების (N05/03-07 (15/01/2014) „ლექტორთათვის

პროფესიული ეთიკისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუქცია“) შესაბამისად.

- სასურველი იყო, დარგობრივი და ზოგადი არჩევით საგნები ყოფილიყო მრავალფეროვანი (მაგ: გეომეტრიული მოდელირება, ვიზუალური კომუნიკაცია, ფერთა აღქმის ფსიქოლოგია, არქეოლოგია, ახალი კომპოზიტური მასალები, ხის კონსტრუქციები და ა.შ.) რაც მეტ მრავალფეროვნებას შესძენდა პროგრამას.

- უმჯობესი იქნებოდა, უნივერსიტეტს უზრუნველეყო საგანმანათლებლო პროგრამის დაკომპლექტება სპეციფიკის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით, მხოლოდ მოწვეული პერსონალით პროფესიული (არქიტექტურა) მიმართულებით პროგრამის ეფექტური განხორციელება ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ხელმძღვანელთან საუბრის დროს გამოიკვეთა მზაობა, დამატებით აეყვანათ დარგის სპეციალისტები. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საჭირო იყო თავიდანვე ეზრუნათ ამ საკითხზე და შეემზადებინათ პროგრამა განხორციელებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუგზარ სხირტლაძემ აღნიშნა, რომ გაუჭირდათ შემოქმედ პროფესიონალ არქიტექტორებთან სილაბუსების იდეების მოპოვება, თუმცა ექსპერტების რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა პროგრამის მოდერნიზაციის დროს.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა მოიცავდა 185 კრედიტის მოცულობის სავალდებულო საგნებს და 10 არჩევითს. სამი საგანი, რომელიც განმსაზღვრელი იყო პროგრამისთვის, მაგალითად არქიტექტურა და მშენებლობა, ძალიან მცირე კრედიტებით იყო წარმოდგენილი, ასევე გეოდეზია 3 კრედიტის მოცულობით, მისი მოსაზრებით, მიზანშეწონილი არ იყო არქიტექტორებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არქიტექტორებს გეოდეზია სჭირდებოდათ გეოდეზიური ნახაზის წაკითხვისთვის და 75 საათი საკმარისი იქნებოდა ამ პირობის შესასრულებლად.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ კურსით „ქართული სახლი“. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კურსი ითვალისწინებდა მთელი რიგი ქართული ხუროთმოძღვრების ეტაპებს, რომელიც გაიარა ქართულმა საცხოვრებელმა. სტუდენტები უშუალოდ მუზეუმში მივიდოდნენ და გაეცნობოდნენ ქართულ ეთნოარქიტექტურას.

ექსპერტმა, ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ მეორე საგანი ჰქონდათ მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც ავსებდა გეოდეზიის საკითხებს, თუმცა ტექნოლოგიის კურსი იყო 5 კრედიტიანი და მოიცავდა მომზადებიდან ექსპლუატაციაში ჩაბარებამდე პროცესს და გეოდეზიის თემატიკით იტვირთებოდა, შესაბამისად, გეოდეზიის საკითხები შევსებული იყო.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა, განაცხადა, რომ 2 საათის დატვირთვით შეუძლებელი იყო ფიზიკისა და მათემატიკის სწავლება.

ექსპერტმა, ნანა იაშვილმა, აღნიშნა, რომ ბაკალავრიატში არქიტექტორები არ აკეთებდნენ პროექტს, რაც იმას ნიშნავდა, რომ აუცილებლად სჭირდებოდათ მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა 15:37 საათზე დასრულდა.

თავმჯდომარე
ნათელა სახოკია

მდივანი
თამარ ბრეგვაძე